

საქართველოს პარლამენტის  
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

ევროკავშირის სტრატეგია ცენტრალური აზიის ქვეყნების  
მიმართ

ანგარიში: N5, 2008, 22 მარტი

(მომზადდა კომიტეტის სტაჟიორმა ლელა ვაშაკიძემ)

# ევროკავშირის პოლიტიკა ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ 2007-2013 წლებისათვის

როდესაც 2007 წელს როტაციის წესის შესაბამისად გერმანია გახდა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა, მის ერთ-ერთ ამოცანად იქცა ევროკავშირის პოლიტიკის გადახედვა ცენტრალური აზიის მიმართ. იენისში ევროკავშირის საბჭომ მიიღო „ცენტრალური აზიის ახალი სტრატეგიული დოკუმენტი 2007-2013 წლებისათვის“.

როგორც ოფიციალურად გახდა ცნობილი, გერმანიის თავმჯდომარეობის პერიოდში დაგეგმილი იყო განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს - ცენტრალურ აზიას. ევროკავშირი გეგმავდა შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას და დამტკიცებას.

2007 წლის 23 იანვარს ევროპარლამენტის წევრებთან შეხვედრაზე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა, რომ გერმანია გეგმავს საფუძველი ჩაუყაროს ახალ კავშირს სახელწოდებით „ინიციატივა ცენტრალური აზიისათვის“, რაც მოიცავს ორ ძირითად სფეროს-ენერგომომარაგებას და უსაფრთხოების საკითხებს. „2007-2013 წლების ცენტრალური აზიის სტრატეგიული დოკუმენტი“ მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

1. ცენტრალური აზიის ქვეყნების სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. სიღარიბის დაძლევა და ცხოვრების დონის ამაღლება.

3. თანამშრომლობის გაღრმავება ენერგომომარაგების, ტრანსპორტის, განათლებისა და თავდაცვის სფეროებში, როგორც რეგიონის ქვეყნების, ასევე ცენტრალურ აზიასა და ევროკავშირს შორის.

სტრატეგიის თანახმად, ძალზე მნიშვნელოვანია ავღანეთის როლი ცენტრალური აზიის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით. ნარკოტიკების ტრანზიტი ავღანეთის ისლამური რესპუბლიკიდან ჩრდილოეთის მარშრუტით სწორედ ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გადის, რაც საფრთხეს უქმნის არა მარტო ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობას, არამედ იწვევს საზოგადოებაში კრიმინალიტეტის დონის ამაღლებას. გარდა ამისა, ცენტრალური აზიის ქვეყნების სიახლოვე ავღანეთთან და პაკისტანთან ქმნის ისლამური რადიკალიზმისა და ტერორიზმის გავრცელების საშიშროებას. 2006 წელს 3 ტაჯიკი მესაზღვრე და ყირგიზი მეზაყე იქნენ მოკლული უზბეკური ისლამური მოძრაობის მიერ, რომელსაც კავშირი ჰქონდა „ალ-ქაედასა“ და ავღანეთთან.

უსაფრთხოების პრობლემა ამ რეგიონში იმდენად დიდია, რომ შტაინმაიერის აზრით, ენერგო ინტერსებმა მეორე ადგილზე გადმოინაცვლა.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს ავღანეთის ნარკოტიკების დიდი მარაგი დაფიქსირდა, რომლის შემოსავლიდანაც დაფინანსდა ბოვეიკთა წვრთნა და მოქმედებები ავღანეთში და სხვადასხვა ტერორისტული ოპერაციები.

გერმანია და საფრანგეთი ცენტრალურ აზიაში ფლობენ ბაზებს, საიდანაც ხდება ავღანეთში მიმდინარე ნატოს ოპერაციების უზრუნველყოფა და მხარდაჭერა. გერმანია ფლობს ბაზას უზბეკეთში სახელწოდებით - თერმეზე, ხოლო საფრანგეთი - ტაჯიკეთში სახელწოდებით - აერის აეროდრომი.

ამერიკის დახმარებით თალიბანთა რეჟიმის დამხობამ უზრუნველყო არა მარტო ცენტრალური აზიის ქვეყნების უსაფრთხოება ექსტრემისტული მოძრაობებისაგან, არამედ გახსნა მათ შორის ახალი ტრანს-კონტინენტალური შესაძლებლობები ვაჭრობაში და სატრანსპორტო კორიდორი სამხრეთის

მიმართულებით - ინდოეთის ოკეანისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სტრატეგიულ დოკუმენტში ავღანეთის ამ სტრატეგიული როლის შესახებ არაფერია ნათქვამი, აშკარაა, რომ ეს გზა უფრო ახლოა, ვიდრე ბალტიის პორტები.

მეორე საკითხი, რომელიც ყურადღებას იქცევს დოკუმენტში არის ევროაზიული ტრანსკონტინენტალური სავაჭრო გზა - ჩინეთი - ცენტრალური აზია - ევროპა. ჩინეთიდან ევროპაში საზღვაო გზას სჭირდება 20-40-მდე დღე, ხოლო სარკინიგზო გზით, ცენტრალური აზიის გავლით, დრო შეიძლება 11 დღემდე შემცირდეს. ცენტრალური აზიის ამ სტრატეგიული ფუნქციის განხორციელება შესაძლებელი იქნება, თუ დაძლეულ იქნა ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორცაა კორუფცია და ბიუროკრატიული პროცედურები. პირველად ამ ტრანსკონტინენტალური სავაჭრო გზის განხორციელების იდეა წამოვიდა სწორედ გერმანიიდან, რომლის შედეგიც არის ახალი ტრანსკონტინენტური მოძრაობა: ჩინეთიდან გერმანიისაკენ. რუსეთმა, ჩინეთმა და გერმანიამ ხელი მოაწერა ტრანსკონტინენტალური სარკინიგზო გადაზიდვების მემორანდუმს.

ამ ფონზე, სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად საჭიროა თავად ცენტრალური აზიის ქვეყნების გააქტიურება ამ კუთხით, რადგან სწორედ ეს გზა არის უმოკლესი ჩინეთიდან ევროპისაკენ. 2006 წელს ყაზახეთი გამოვიდა ინიციატივით, რომ ტექნიკურად და ეკონომიკურად განეახლებინათ ამ პროექტის “ჩინეთი - ევროპა” ყაზახური ნაწილი. რა თქმა უნდა, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრალური აზიის ქვეყნების WTO-ში გაწევრიანებას, რაც უფრო მყარს გახდის ევროაზიულ ვაჭრობას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ევროკავშირის პოლიტიკაში ცენტრალური აზიის მიმართ არის ენერგომომარაგების საკითხები. 2007-2013 წლების სტრატეგიის პროექტში აღიარებულია, რომ ენერგორესურსების მოწოდება ცენტრალური აზიიდან დიდ მნიშვნელობას იძენს ევროკავშირისათვის.

ბუნებრივია, რუსეთის მხრიდან ენერგორესურსებზე ფასების აწევა იწვევს მისი მეზობლების უფრო მეტ დაახლოებას ევროპასთან, მაგრამ ასევე იზრდება ევროკავშირის დამოკიდებულება ამ რესურსებზე. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ თუ ადრე ევროკავშირი არ იჩინდა დიდ ინტერესს ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზის ენერგორესურსების მიმართ, ახლა ის აღმოჩნდა ისეთი ფაქტის წინაშე, როგორცაა რუსეთის მხრიდან უკრაინის გაზით მომარაგების შეწყვეტა და იძულებულია აღიაროს საკუთარი დამოკიდებულება რუსეთის რესურსების მიმართ. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ევროკავშირმა აღიაროს იმ პოლიტიკური ბერკეტის არსებობა, რასაც რუსეთი ეფექტურად იყენებს მეზობელ ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად. ამრიგად, სტრატეგიულ დოკუმენტში 2007-2013 წლებისათვის დიდი ყურადღება დათმო ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზის ენერგორესურსებს. მაშინ როდესაც, ევროკავშირის გაზით მომარაგების 46% მოდის სწორედ რუსეთიდან, საჭიროა მოინახოს სხვა წყაროები, რათა ევროპა არ აღმოჩნდეს უკრაინის მდგომარეობაში ნათქვამია დოკუმენტში.

ამ სიტუაციაში, სწორედ ცენტრალური აზიისა და კასპიის მდიდარი რესურსები იქცევს დიდ ყურადღებას. 2006 წლის ბოლოს, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი იმყოფებოდა ბრიუსელში, სადაც ხელი მოეწერა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ურთიერთგაგების მემორანდუმს.

მიუხედავად ამისა, ცენტრალური აზიიდან ევროპაში მიმავალი ყველა სატრანზიტო გზა ჯერაც რუსეთზე გადის, რაც ზრდის ასევე ტრანზიტის ფასს.

ყურადსაღებია, რომ თუ შესაძლებელი გახდა უფრო მოკლე გზების გამოჩნება კასპიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგორესურსების ტრანზიტისათვის, თურქეთი გახდეს პირველი მნიშვნელოვანი ენერგო-კორიდორი, რომელიც დააკავშირებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს. პირველი ნაბიჯები ამ კუთხით გადაიდგა სწორედ მაშინ, როცა ექსპლორატაციაში შევიდა

ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმი, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე შეუერთდება ევროპის სადენებს.

ეს არგუმენტი სერიოზულ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ გერმანიამ შეარბილოს თავისი მკაცრი დამოკიდებულება თურქეთის ევროკავშირში მიღების საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ თურქეთი ყირგიზეთთან, ყაზახეთთან, თურქმენეთთან და აზერბაიჯანთან ერთად ქმნის “ცენტრალური აზიის ქვეყნების ლიდერთა დიალოგს”. თუმცა, თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებს მეორე მხარეც აქვს: თურქეთი ირანის დიდი ნდობით სარგებლობს. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთს თავისებური თანამშრომლობა აქვს ამერიკასთან, ევროპასთან და ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, ის შეიძლება გახდეს შუამავალი ამერიკისა და ირანის ურთიერთობაში.

2007-2013 წლების სტრატეგიულ დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ამ რეგიონის ხუთივე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სიღარიბის დაძლევაზე, ცხოვრების დონის ამაღლებაზე, განათლებაზე, და სამუშაო ადგილების შექმნაზე. – “სწორედ ევროკავშირს შეუძლია დაეხმაროს ცენტრალურ აზიას პოლიტიკური და ეკონომიკურ გარდაქმნების პერიოდში და დემოკრატიული ფასეულობების გაძლიერებაში.

უკანასკნელ პერიოდში დამყარდა თანამშრომლობა ევროპარლამენტსა და ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის პარლამენტებს შორის. სტრატეგიის თანახმად, საჭიროა ამ ურთიერთობების უფრო გაღრმავება და პრიორიტეტების მკვეთრად გამოხატვა. ევროკავშირს შეუძლია გამოიყენოს ამ საკითხთან დაკავშირებით ისეთი ქვეყნების გამოცდილება როგორცაა საფრანგეთი, რომელმაც უზრუნველყო თანამშრომლობა საფრანგეთის სენატსა და ოლიი - მეჯლისის სენატს შორის (უზბეკეთის პარლამენტი). ეს არის საუკეთესო საშუალება, რომ მოხერხდეს პარლამენტის კულტურული და პროფესიული დახვეწა.

2007-2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტში რეგიონული პოლიტიკა დსთ-ს ქვეყნების მიმართ გაყოფილია ორ სტრატეგიად. ერთი მხრივ ევროკავშირის ურთიერთობა სომხეთთან, საქართველოსთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან რომელიც მიმდინარეობს “ევროპული მეზობლობა და პარტნიორობა” დოკუმენტის ფარგლებში. მეორე მიმართულება კი ეხება ცენტრალურ აზიასთან ეკონომიკურ თანამშრომლობას და თანამშრომლობის განვითარების საკითხებს. ასე რომ, აზიის ცენტრში იქმნება სივრცე, რომელიც განხილული იქნება არა მხოლოდ როგორც აზია, არამედ, როგორც ევროპის პარტნიორი მომიჯნავე რეგიონი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრალური აზიის რეგიონთან მიმართებაში არის სწორედ ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს რეგიონი აღარ მოიაზრება, როგორც რუსეთის ნაწილი, არამედ მას ევროპა განიხილავს, როგორც ცალკე რეგიონს, რომელსაც შეუძლია წარმართოს საკუთარი პოლიტიკა დამოუკიდებლად, რუსეთის ზეგავლენის გარეშე და სწორედ ევროპა უნდა დაეხმაროს მას დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებაში, რათა ეს რეგიონი არ აღმოჩნდეს რადიკალური ისლამის ან ტერორიზმის გავლენის ქვეშ.

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, გერმანიამ თავისი თავმჯდომარეობის პერიოდში, 2007-2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში:

1. მთელი სერიოზულობით უნდა იქნას აღქმული ისლამური რადიკალიზმის საფრთხის არსებობა რეგიონში, განსაკუთრებით უზბეკეთთან მიმართებაში. უნდა მოხერხდეს სამართალდამცავი

ორგანიზაციების გაძლიერება და უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება.

2. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ავღანეთს და მის როლს ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ. ამავე დროს, ტრანსკონტინენტალური ვაჭრობა უნდა განვითარდეს ყველა მიმართულებით და არა მხოლოდ რუსეთისა და ევროპის მიმართულებით.
3. ურთიერთობა ანკარასთან მკვეთრად ინტენსიური უნდა გახდეს, რადგან თურქეთი შესაძლოა იქცეს ევროპისა და ცენტრალურ აზიის დამაკავშირებელი რგოლად.
4. უნდა გამყარდეს თანამშრომლობა ცენტრალური აზიის ქვეყნების რეფორმისტულ ძალებთან და პარლამენტებთან. ევროკავშირს უკვე აქვს შემუშავებული პროგრამა საპარლამენტაშორისო ურთიერთობის გაძლიერების მიზნით.

ცენტრალური აზიის რეგიონი ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც ახალი მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში. იმდენად, რამდენადაც ამ ქვეყნების უმრავლესობა ვითარდება მეტ-ნაკლებად პრო-დემოკრატიული მიმართულებით დასავლეთი აქტიურად უნდა ჩაერთოს და ხელი შეუწყოს ცენტრალური აზიის შემდგომი დემოკრატიულად განვითარების პროცესებს, რათა არ მოხდეს ისლამური რადიკალიზმისა და ტერორიზმის განვითარება რეგიონში, რისი საფრთხეც რეალურად არსებობს. 2007-2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მხრივ, რომ განვითარდეს თანამშრომლობა და გაჩნდეს ახალი პერსპექტივები ევროკავშირისა და ცენტრალური აზიის ურთიერთობებში.